ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 178 მარიამობისთვე 22, სამშაბათი 1889 მარიამობისთვე 22, სამშაბათი № 178

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


## სასწავლებელი და პანსიონი

### ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულ სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს ყველა საშუალო სასწავლებლებში მისაღებად.

სკოლის სადგომის შეკეთების გამო ბავშვები 2 სექტემბრამდე მიიღებიან დროებითს სადგურში, მეცუგოვის სახლებში, რომელიც იქვე ასლოს „ხიდის“ ქუჩაზედ (Мостовая улица) იმყოფება.

პარაკლისი და დაწყება სწავლისა 4-ს სექტემბერს იქნება. (15—2)

## კანტორა

### ნოტარიუს ამიროვისა

იმყოფება განოვის ქუჩაზე, სახლი № 6, ტფილისის პოლიციის სამმართველოს გვერდით, ნოტარიუსის მამიკონოვის პირდაპირ კანტორამ მოქმედება დაიწყო აგვისტოს 21-დგან. (3—1)


## რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, იქ, სადაც წინად მომრიგებელ-სასამართლოს მესამე განყოფილება იმყოფებოდა და ამ ჟამად ბ-ნ მრევლიშვილის პანსიონი იმყოფება.

## ახალი ამბავი

*** ამ დღეებში ტფილისში მიიღეს უმაღლესი მანიფესტი მისის უდიდებულესობის დიდის მთავრის პეტრე ნიკოლოზის ძისა და ჩერნოგორიის მთავრის ნიკოლოზის ასულის მილიცას ქორწინების შესახებ. ეს მანიფესტი წაკითხულ იქმნა სიონის ტაძარში კვირა დღეს, 20-ს ამ თვისას, და ამის გამოვე მისმა მაღალყოვლად უსამღვდელოესობამ პალადიმ ეპისკოპოზ ალექსანდრეთურთ გადიხადა წირვის შემდეგ პარაკლისი.

*** კავკასიის სამეურნეო გამოფენის დროს ტფილისში კრება ექმნებათ ფილოქსერის ბუნებისა და წამლობის მცოდნე კაცებს. სახელმწიფო ქონებათა მინისტრს, როგორც გაზეთები იუწყებიან, განზრახვა აქვს დაესწროს ამ კრებაზე.

*** უმაღლესის ბრძანებით ტფილისის გუბერნატორს თავ. გიორგი დიმიტრის ძის შერვაშიძეს საზღვარგარეთ ყოფნის ვადა გაუხანგრძლივდა სამის კვირით.

*** ტფილისის პოლიციის უფროსი ბ-ნი როსინსკი 19 ამ თვისას ჩამოვიდა ტფილისს.

*** კვირას, ამ თვის 20-ს, ორთაჭალის ცოტა ზემოდ შემდეგი უბედურება მოჰხდა: მდ. მტკვარზე თელავის მაზრის სოფელ კურდღელაურის მცხოვრებელმა ლევან ბიძანაშვილმა ყოჩი ჩამოიყვანა საბანებლად. ბანაობის დროს ყოჩმა მდინარეში გაიწია და, რადგანაც ყოჩზე მობმული ჯაჭვი ბიძანაშვილს მარცხენა ხელში ეჭირა, ყოჩმა საბრალო ბიძანაშვილიც მდინარეში შეითრია. ბიძანაშვილს ცურვა არა სცოდნოდა და წყალში ჩავარდნის უმალვე მდინარემ ჩასძირა და დაირჩო. გვამი ჯერ-ჯერობით ვერ უპოვნიათ.

*** აგერ უკვე მესამე კვირაში გადადგა, რაც წესად შემოიღეს კვირაობით დუქნების კეტვა და ნოქარების ამ ერთს დღეს მაინც განთავისუფლება მუშაობისაგან. ამ წესს ყველანი დაჰმორჩილდნენ ცოტად თუ ბევრად, ჰკეტავენ კიდეც დუქნებს და ამას იქით, რასაკვირველია, ისე შეეჩვევიან, რომ არც-კი ემძიმებათ. მხოლოდ მედუქნეებში თითო-ოროლა ისეთია გამორეული, რომელნიც ადვილად არ ემორჩილებიან ამ ფრიად საკეთილო განკარგულებას, კვირაობითაცა ვაჭრობენ მალვით თუ ცხადად და ამ გვარად საზოგადო წესსა და რიგს არღვევენ. მაგალითებრ, გუშინ-წინ, კვირა დღეს, გოლოვინის პროსპექტზედ თითქმის ყველა მეწვრილმანეს დაკეტილი ჰქონდა დუქნები, მარტო შიოევის სახლებში ვილაც პეტროს გაეღო და კაი ვაჭრობაცა ჰქონდა. მეორე მეწვრილმანეები ისე გაეცეცხლებინა ამ გარემოებას, რომ სულ გულზედ მჯიღს იცემდნენ და ვგონებთ პოლიციის ბოქაულთანაც-კი წავიდნენ საჩივლელად. ამას გარდა იმავ შიოევის სახლებში, პოლიციის მეორე განყოფილებაში, დაკეტილი იყო სამწერლო კუთვნილებათა დუქანი და იმის გასწვრივ-კი, ბულვარის მეორე მხარეს, პოლიციის მესამე განყოფილებაში ვილაც შაროევს გაეღო სამწერლო კუთვნილებათავე დუქანი და არხეინადა ვაჭრობდა. იმის გამოჯავრებული პირველსაც გაეღო დარაბები და გაემართა ვაჭრობა. სასურველია, რომ ამ საქმეში პოლიციამ სრული პირუთვნელობა გამოიჩინოს და სასტიკად აღუკრძალოს ყველას დუქნის გაღება. თვალ-ყური კარგად უნდა ადევნონ ვაჭრებს, თორემ ზოგიერთები გარედგან-კი ჰხურავენ დარაბებს, მაგრამ მეორე მხარეს გაღებული აქვთ და იქიდგან შეჰყავთ მუშტრები სავაჭროდ.

*** ქ. სოხუმი: 14 ამ თვისას ბათუმში უეცრად გარდაიცვალა აქაური მომრიგებელი მოსამართლე ი. ბერნაცკი. 12 წელიწადია, რაც განსვენებული აქა მსახურებდა და საზოგადო სიყვარული და პატივისცემაც დაიმსახურა. ამ უკანასკნელს დროს გადაყვანილ იქმნა ქ. ბაქოში. 13 ამ თვისას, საღამოს, ნავთ-სადგურზე დიდ-ძალმა ხალხმა შეიყარა თავი, რათა პატივი ეცა და გამოსალმებოდა ამ პატივცემულს კაცს. მეორე დღეს, 14-ს კი დეპეშამ შეგვატყობინა, რომ ბ-ნი ბერნაცკი ბათუმში ნაპირად გასვლისათანავე უეცრად გარდაიცვალაო. ეს ამბავი მთელს ქალაქს მოედვა. ნიშნად პატივისცემისა გარდაცვალებულისადმი ქალაქმა გადასწყვიტა ბათუმში თავის დეპუტატების გაგზავნა, განსვენებულის გვამის წამოსვენება და დამარხვა თავის ხარჯით სოხუმს. იმავე დღეს სახარჯო ფულების შეკრებასაც შეუდგნენ და 500 — 600 მანეთამდე შეაგროვეს. 15 ამ თვისას თითქმის მთელმა ქალაქმა მოიყარა თავი ნავთსადგურზე, საიდგანაც ბერნაცკი გაასცილეს. ნავთსადგური კანდელებით იყო განათებული და საზოგადოების წინ მღვდელ-დიაკვნები იდგნენ ჯვარ-ბაირაღებით. ღამის 12 საათზე გემიც გამოჩნდა. გემს ნავებით მიეგებნენ ნაპირიდგან და პირველად ამოიყვანეს განსვენებულის მეუღლე და სამი პაწია ბავშვი. შემდეგ კუბოც ამოასვენეს და ყველამ დიდის ამბით გააცილა მახლობელ ეკკლესიამდე, სადაც იმ ღამეს ესვენა. მეორე დღეს, 16-ს, საზოგადოებამ სასაფლაოს ეკკლესიაში მიასვენა და მიაბარა მიწას განსვენებული ბერნაცკი.

*** რაჭა: ჩვენში დღეობა იშვიათად გაივლის ისე, რომ ერთი და ან ორი კაცი არ დაიჭრას მძიმედ. მკათათვეში, სოფელ კვირიკე-წმინდაში, კვირიკობა დღეს, სამს ალაგას დასჭრეს ბეჭებში სულ უბრალოზე ველევლის მამასახლისის თანაშემწე. საწყალი გულ-შეწუხებული დასდეს ურემზედ და სულ წივილ-კივილით წაიყვანეს თავისს სოფელში. მოკვდა თუ არა, ის ველარ გავიგეთ. არცარა უდღესასწაულოდ აკლებენ ხელს ჩვენებურები ერთმანეთს. ამას წინად სოფ. ხოტევში მცხოვრებელმა მ. ქ. დასჭრა ხანჯლით თავისივე მეზობელი ს. ქ., რომელიც გამოუდგა პირველს საცემრად, მაგრამ პირველმა მოასწრო და ხანჯალი ატაკა მუცელში ერთის ხელით, მეორე ხელითკი აიცილა თავში დასაკვრელი კეტი. დაჭრილი, როგორც ამბობენ, უკვე მორჩენილა და დამჭრელს მოკლას უქადის თურმე.

## ფელეტონი

### ფშავეთი და ფშაველები

(რელიგიურნი რწმენანი ფშაველებისა და იმათი ხატები)

(შემდეგი *)

როგორც ზევითაც არის ნათქვამი, კოპალა სიცოცხლის დროს გმირი ყოფილა, „დევ-კერპთ მეომარი“, ამის გამო ფშაველი იმას დღესაც გმირობით იხსენიებს ლოცვისა, წყევლისა და ან დიდების დროს: „მიშველე გმირო კოპალაო“. „დაგწყევლოს გმირმა კოპალამ“... „დაგლახტოს გმირმა კოპალამ“ და სხვ. კოპალა „ორციელობის“ დროს, ფშაველების თქმულებით, შეიარაღებული ყოფილა ლახტით, ხმლითა და მშვილდ-ისრით. იმისი წმინდა სული დღესაც იმავე იარაღით „დაუქროლებს“ მისგან დახოცილს დევ-კერპთ სულებს, რომლებიც ეშმაკებად გადაქცეულან დახოცვის შემდეგ და ფშავეთის კლდე-ღრეებში მიმალულან. თუ იმათ ფშაველის წინაალმდეგ რაიმე ზიანი მოინდომეს, კოპალა მაშინვე მიესევა და შემუსრავს. ამის გამო ავ-სულებს კოპალასი უფრო ეშინიანთ, ვიდრე ფშაველების სხვა სალოცავებისა. რაკი ფშაველის ადგილები ძველ დროში დევკერპთა სჭერიათ, იქ მცხოვრები კაცები მათ დამონავებულები ჰყოლიათ და შემდეგში კოპალას მეთაურობით ისინი ფშავლის სალოცავებს ამოუწყვეტიათ და ხალხი იმათის შიშისა და მონებისგან გაუნთავისუფლებიათ. მას შემდეგ დახოცილი დევ-კერპთ სულები ფშავლის სალოცავებთ შორის უფრო კოპალას შიშს ქვეშ არიან. თუ სადმე შეეშინდება ფშაველს და ან უბედურება რამ დაემართება, ან ღამე „უდროო დროს“ ცუდს უდაბურს ადგილს კლდე-ღრეში, „უალაგო ალაგას“ მოემწყვდევა, ის მაშინვე „გმირ-კოპალას“ მოუწოდებს თავის მფარველად, რომ ავ სულისაგან არ «დაინავსოს». რაკი კოპალა ეყოლება „ხსენებული“ და მფარველად მოწოდებული, ფშაველი მაშინ დარწმუნებულია, რომ მთელი ავ-სულთა ლეგიონიც რომ მიესიოს, ველარას დააკლებენ. ამ შემთხვევაში იგი თავისს თავს სრულიად უშიშრად ჰგრძნობს.

ფშავლის აზრით, კოპალა ძალიან წმინდა ხატია. სხვათა შორის ეს იქიდამაცა სჩანს, რომ კაცსა და დედაკაცს, მეტადრე მეზოსლეს, არც ერთი სალოცავი ფშავლისა ისე შორს არ ირიდებს და სასტიკად არა სჯის თავისის „საბძანისის“ კარ-მიდამოს შელახვისათვის, როგორც კოპალა. ფშაველის დედაკაცს, „ბოსლობის“ დროს, რაც უნდა გაუჭირდეს, კოპალას ვერ შეევედრება, რადგან ამ დროს თავისს თავს უწმინდურადა სთვლის. თუ როგორმე გაბრიყვდა და კოპალას სახელი ბოსლობის დროს წარმოსთქვა, მაშინ იმას კოპალა დაჰმიზეზავს, ავად გაჰხდის და მკითხავის პირით უბრძანებს სანათლავ მსხვერპლის შეწირვას. სანათლავ მსხვერპლის სისხლი ფშაველს აიაზმის მაგიერობას უწევს, სალოცავის საბრძანისისა, იმის მსახურთ ხევის ბერისა და დასტურების გასაწმინდებლად (როგორც ზევითაც ნათქვამია შეწირულ ნივთის განათლვის შესახებ) ყველა იმ უწმინდურებისგან, რასაც ფშავლის სალოცავები ერთობ და განსაკუთრებით უფრო კოპალა ერიდება და არიდებს თავის მსახურთ. კოპალას თუმცა ფშავლის ყველა თემები ლოცულობენ, მაგრამ ის ითვლება საკუთრივ უძილაურების თემის სალოცავად. ფშაველი იფიცავს ლაშარის ჯვარს, კოპალას, თამარ მეფეს და ან თავისის თემის სალოცავს. ლაშარის ჯვარს გარდა, ყველა ზევით მოხსენებულ სალოცავებს, „სათავ-დღეობო“ საბძანისს გარეშეც, ფშაველი კიდევ რამდენსამე ალაგასა ლოცულობს თითოეულს მათგანს ცალკე და ამ განყოფილებას სალოცავისას „ნიშს“ უწოდებს. ნიშის ალაგიც ისევე წმინდად შენახული უნდა იყოს, როგორც პირველი საბძანისი სალოცავისა: არ უნდა მიუახლოვდეს ადამიანი, მეტადრე დედაკაცი, და არ შელახოს ნიში. ფშაველი დარწმუნებულია, რომ იმისი სალოცავები ღამ-ღამე ჩამოდიან ზეციდგან თავის საბძანისებში. სათავ-დღეობო საბძანისიდგან ნიშამდე, ან ერთის ნიშიდგან მეორემდე, ფშაველის აზრით, ხატი თოკს აბამს და ზედ გადის და გამოდის, თოკი ნათლისაა და თითონ ხატიც ნათლის ბურთის სახისად გადაიქცევა და ისე გასრიალდება გაბმულ თოკზედ. ეს ხდება ღამე, როდესაც „კაცის ფეხი მისწყდება“. თუ ნიშების შუაზედ, სადაც ხატი თავის სანავარდოდ თოკს აბამს, გორაა, რომელსაც გაბმულმა თოკმა ზედ უნდა გადაუაროს და ახლო მოვიდეს, ფშაველი ამ ადგილსაც წმინდად ინახავს, იქ ღამეს არ გაათევს, რომ ხატს არ დაუშალოს სიარული, გზა არ შეულახოს. ამ ნაირ კადნიერებას, ფშავლის აზრით, იმისი სალოცავი არ მოითმენს, გაუწყრება და დასჯის კიდეც.

თამარ მეფის საბძანისი არაგვის ხეობაზეა, თვით მდ. არაგვის მარცხენა მხარეზედ. იგი წარმოადგენს მშვენიერ ბუჩქნარით შემოსილ გორას, რომელიც არაგვის ჭალიდგან პირველად ძალიან გვერდად არის ამართული და მერე შევაკებულია. თვით ამ ვაკეზეა სალოცავი ალაგი. ალაგი შემოზღუდულია ქვის გალავნით; გალავანში და იმის მახლობლად აშენებულია რამდენიმე ყორის სახლი, სიპის ქვით დახურულები: „საბერო“, სადაც სალოცავს დღეობის დროს იმყოფებიან ხევის-ბერები და დასტურები; სალუდე, სადაც „ადუღებენ“ სადღესასწაულო ლუდსა, ინახავენ სალუდე ქვაბსა და სხვა-და-სხვა ჭურჭელს საჭიროს ლუდის დუღების დროს; სადასტურო და სხ... სადას-

*) იხ. „ივერია“ № 138, 139 140 და 177.

*** სოფ. ქვიანი (გურია): როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ამ ზაფხულში გურიას ესტუმრა ეკკლესიების დასათვალიერებლად გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი. 14 ამ თთვისას მისი მეუფება ჩვენს ეკკლესიასაც ეწვია და მეორე დღეს მარიამობას მწირველი ბრძანდებოდა ადგილობრივ ქვიანის წმინდის გიორგის ეკკლესიაში. წირვის შემდეგ დღესასწაულის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. ეკკლესიიდამ რომ გამოვიდა, გალავანში დიდ-ძალი ხალხი შემოეხვია შენდობის მისაღებად. შენდობის მიცემისათანავე ქალებსა და ბავშვებს ყველას თითოეულად დაურიგა ჯვრები. აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოხსენებულ ერთ შტატიან ეკკლესიაზე არის მეორე ეკკლესია ზედ მიწერილი. არც ერთი მათგანი არ არის მოწყობილი და აგებული, მაგრამ მრევლი მაინც ორ დასად გაიყო: ზედ-მიწერილ ეკკლესიის მრევლს სურს ეკკლესია ცალკე „გაიშტატოს" და საკუთარი მღვდელი იყოლიოს, თუმცა ამის ღონე არ შესწევს. მეორე ეკკლესიის მრევლი-კი ამის წინააღმდეგია, რადგანაც არ შეუძლიან ცალკე მღვდლისა და ეკკლესიის შენახვა. ამ გვარი უთანხმოება მრევლთა შორის წინადაც გაგონილი ჰქონდა ეპისკოპოზს, რომელმაც დიდხანს ესაუბრა ხალხს იმის შესახებ, თუ რამდენად დამამცირებელი და მავნებელია ხალხისთვის ერთმანეთის მიუყოლობა და უთანხმოება. ხალხმაც შეიგნო ეს დარიგება და კიდეც შეჰპირდა მორიგებას. შემდეგ ადგილობრივ მღვდლისას იყო მიწვეული ეპისკოპოზი, აქაც მთელი საათი ესაუბრა ხალხს სწავლა-განათლების შესახებ და ურჩია სამრევლო სკოლის გამართვა. ეს რჩევაც ხალხმა კეთილად მიიღო.

*** სურამი: როგორც სურამის ხეობაში, აგრეთვე იმის სიახლოვეს იერეთაში, პურისა, ქერისა და დიკის მოსავალი ნაკლები იყო. ლობიო აქ წელს უხვად მოვიდა და სიმინდებს ხომ ქება არ ეპირება. ვენახებს რომ შეჰხედოთ, სწორედ ცეცხლისაგან გატრუსული გეგონებათ, მაგრამ მარცვალი ყურძნისა-კი გვარიანია, ასე რომ თუ ერთი ორჯელ თავის დროზედ დასწვიმა, ეჭვი არ უნდა იყოს, წელს აქეთ გვარიანი მოსავალი იქნება ღვინისა.

*** სოფ. წიფა: გვირაბის ქვის თაღი ორ ადგილას გაირღვა. მიზეზი, როგორც ამბობენ, ქვის უვარგისობა ყოფილა. ამ ადგილას არღვევენ და უმჯობესის ქვით აკეთებენ. გვირაბი წიფას მხრით რვაას საჟენამდე არის გაშენებული, ბელლთაის მხრით-კი ხუთას საჟენამდე. გვირაბის ქვის თაღებში ოციოდე თუჯის მილია დატანებული, საიდგანაც გადმოჩუხჩუხებს სხვა-და-სხვა გორის წმინდა წყალი. სხვათა შორის გამოდის მშვენიერი მჟავე სასმელი წყალიც, რომელიც ზეთიერით მოქმედობს ადამიანის სტომაქზე.

*** შაბათს, ამ თთვის 19-ს, პოლიციის მეექვსე განყოფილების ბოქაულმა ბ-ნმა გლებოვმა აღმოაჩინა ყალბის ფულის აბაზიანების მკეთებელნი. ამ ყალბს ფულს აკეთებდნენ ორი ხომხი ერევნელი, გეურქ ოჰანეზოვი და ნახჩევნელი ასატურ მაზოიანცი. ქარხანა ყალბის ფულებისა ჰქონიათ ვილაცა ტერ-პოღოსოვის სახლში, ძველის ციხის ძირში, თათრის მეიდნის ზემოდ. ამ ქარხანაში იპოვნეს ორი ფულის ჩამოსასხმელი მაშინა, რამდენიმე ყალბი აბაზიანი და ბევრი ფულის საკეთებელი იარაღი. ასატურ მაზოიანცი და გეურქ ოჰანეზოვი სასამართლოს გამომძიებელმა დაამწყვდია მეტეხის ციხეში.

## ორი დღე კაბალზე

(მგზავრის შენიშვნები)

სიღნაღის მაზრის ჩრდილოეთის მხარეს, მდ. ალაზნის გაღმა, მდებარეობს სოფ. კაბალი. მინამ მგზავრი მიახლოვდება კაბალს, თავ. ვაჩნაძეების საერთო მამული ტყე უნდა გაიაროს. მეც ჩემი თანამოგზაურითურთ ვერ ავცდი ამ გზას. შევედით თუ არა ვაჩნაძეების მამულში, ჩემი ყურადღება მიიქცია გაუერანებულმა, უწმაწურად ნაჩეკ-აჩეხილმა ტყემ. რამდენისამე წლის წინადაც მინახავს ეს ტყე, მაგრამ მაშინ ეს ტყე ახოვანი და მშვენიერი იყო. დღეს-კი სულ სხვა ენახე... მაინც და მაინც სასოწარკვეთილებას არ მივეცი თავი, ვიფიქრე: შესაძლოა იყის სანაპირო გაკაფეს ქურდულად-მეთქი სულის მტრებმა, მაგრამ... მწარეც ის არის, რომ რაც ფეხი წინ წავდგით, უფრო სატირელ და საზარელ სურათებს წავაწყდით. ტყის გაკაფვას ჯანი და სული წაუღიდეს, გამინდვრებული ალაგიც კიდევ გამოსადეგია, მაგრამ გამინდვრებული ალაგი სალორეთი და საქონლის გომებით ისე არის ათხრილ-ჩათხრილი, რომ მისი სახნავად გამოყენება ყოვლად შეუძლებელია. სწორედ გულმოსასკლელია ამ გვარად მამულის მოხმარება მეპატრონესაგან! როგორ დავიჯეროთ რომ ამ ძვირფასის მამულის მეპატრონეები იმდენად უვიცნი არიან, რომ მამულის ყადრი და ფასი არ იციან. თუ არ იციან, ძნელია ეხლა მათი გაწვრთნა და ჩვენც ტყუილად რად შევიწუხოთ თავი. სჯობს ჩვენს საგანს გავყვეთ.

კაბლის მდინარეს, რომ მივახლოვდით, შევნიშნეთ გრძელი ხეობა. ამ ხეობას ორი სახელი აქვს. შესავალში ფონი ეწოდება და ზემო ნაწილს ხუჩილა. შუა ხეობაში ჩამოდის ცივი ლიტქი მდინარე კაბალი. კაბალი გათქმულია კალმახით. ამ ხეობაში კაბლის ორსავე მხარეს შეგვხვდა არა ერთი და ორი ნასოფლარი. ეტყობა, რომ აქ უწინ ხალხს უცხოვრია და ლეკების შიშს აუფორიაქებია და დაუტოვებინებია წინაპართა ბინა..., ნასოფლარები უფრო მხხალ გორის ფერდობებზეა. აქვე ძლიერ ბევრი ნანგრევებია საყდრებისა. ხეობის შესავალშივე უშველებელი ეკკლესიაა... კახეთში გათქმულ ალავერდის ტაძარს ფონის ხეობის ეკკლესია ბევრად არ ჩამოუვარდება. საუბედუროდ, უპატრონობით ეს ეკკლესია შებილწულია. ეკკლესიაა თურმე გამუდმებული ბინა საქონლისა და სწორედ ამიტომ იგი სავსეა საქონლის ფუნიათი. მერე შიგ ისეთი ტალახია, რომ ყოვლად შეუძლებელია შესვლა. კარებიდგან კარგად სჩანს, რომ კანკელი და მხატვრობა თითქმის მთლად არის დაცული.

ურიგოს არ იზამდნენ ჩვენი არხეოლოგები, მცირედი ყურადღება ამ კაბლის ხეობისთვისაც მიექციათ. უეჭველია, რომ აქაც ბევრს საყურადღებო რასმე შეხვდებიან... კაბლის ორივე ნაპირები მეტად ნოყიერია და კარგა ხანია რაც ხალხი თამბაქოს სთესავს. წელს თამბაქო ძლიერ მცირეა. მიზეზი, როგორც გვითხრეს, თამბაქოზე ფასის დაწევაა თურმე.

ფონის ეკკლესიის დათვალიერების შემდეგ მე და ჩემი თანამოგზაური მდინარის პირას ჩრდილში ჩამოვსხედით დასასვენებლად. ჩემი თანამოგზაური საერთო მამულის მონაწილეთაგანი იყო. ცუდ უბრალო ყბედობაზედ დროს დაკარგვას მე ვამჯობინე ჩემის თანამოგზაურისთვის გამომეკითხა თანამოძმეთა ყოფა მდგომარეობა. საბედნიეროდ, უარი არ მითხრა და შეძლების დაგვარად დამიხატა დღევანდელი სურათი ქვედა-კახეთისა. ყველა თავის სატკივარზე მოჰყვება ლაპარაკს და, როგორც მოეხსენება მკითხველს, გაღმა მხრისა და თვით კაბლის მეპატრონეს ტკივილი-კი საერთო მამულის დღევანდელი ყოფაა და ამიტომ ჩემმა თანამოგზაურმაც ამ საგანზე დაიწყო ლაპარაკი:

— რა ვსთქვა და რა გითხრა, შენს მტერს, თუ რა ყოფაში ვართ. ერთმანეთის ჯიბრითა და მიხედვით ლამის არის მთლად გავაუერანოთ ეს საერთო მამული. მამულიც მამულსა ჰქვიან, მაგრამ უნდა გითხრა, რომ ეს მამულია ჩვენი დღევანდელი შემნახველი და მომავალში ლუკმის გაუწყვეტლობა ამაზევეა დამოკიდებული. მართალია, ყველა ჩვენთაგანს მოეპოვება სხვა მამულიც, მაგრამ განა შენ კი არ იცი რა გვარად დაძაბუნდა კახეთის მამულები? ესეც რომ არ იყოს, ჩვენში ბობოლეებს-და თუ შერჩად მამული თორემ სხვებს ან აღარა გვაქვს, ან ისეთ ველში ვართ ჩათრეული, რომ ვალსაც ვერ აუდის. ერთად-ერთი ეს საერთო მამული-ღა დაგვრჩენია ვალისაგან თავისუფალი, მაგრამ-რა... ჩვენი გასუქებული მოძმეები არც აქ იხევენ უკან და ლამის არის ამ მამულებზედაც ხელი დაგვაბანინონ. შენც ხომ იცი, რომ ორმა მონაწილემ ამას წინად კიდაც გაჰყიდეს თავიანთი წილი. მერე რა ფასად-და: დესეტინა 5—7 მანეთად გაიყიდა! გესმის, აქ ამისთანა ტყე და მამული და დესეტინა 5 მანათი?

— განა ისე რა გაუჭირდა, რომ ასე ჩალის ფასად გადაუგდია იმ მონაწილეს მამული? გავაწყვეტინე სიტყვა.

— რა გაუჭირდა! ის გაუჭირდა, ჩემო კარგო, რომ თავის ულონობით და სხვა ღონიერების შიშით ვერ გამოდიოდა და ვერც არაფერს სარგებლობდა. გაჭირვება წინ დახვდა და ისევ გამოუყენებელის მამულის მოშორება ირჩია.

ჩვენის ვაჟბატონების წუხილი ის არის, რომ ულონო და ღარიბი მოძმე დაჩაგრონ, მიწასთან გაასწორონ და იმ მდგომარეობამდე მიიყვანონ, რომ ხელი აიღოს თავის მამულზედ. მერე უნდა უცქირო, რა გვარს სიამოვნებაში არიან და ან რა კილოთი უამბობენ ეცნობსა და ნაცნობს მოძმის განდგურებას? ერთმანეთის მტრობასა და დაცინვაში ამოგვდის სული.. ამას ჯანი და სული წაუღიდეს, ენას ჰალი არ მოედება, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ საერთო მამულშიაც მტერი აგვადგნეს. წედან რომ საქონლის ბინები ამოვიარეთ, შენ ვისი გგონია? სულ სხვის ხელით არის ბინები დანათლული. ნამდვილად-კი მამულით გარეშე ხალხი სარგებლობს, გარეშე საქონლის პატრონი მიდის ერთ ვისმე მონაწილესთან, ან ხელ-ღონიერთან და ან მეცელ-სქელთან მიდის, იმას იყოლიებს და იმის სახელით სცხოვრობს აქ! მართალია, თავის ძალად მაცხონებს საბალახოს აძლევს საქონლის პატრონი, მაგრამ განა სათქმელია ის მცირე კაპეიკები მამულის გაოხრებასთან?.. შენა ჰხედავ, რომ აქ მუხა ბევრია... სწორედ ამიტომ არის მთელი ტყე ღორით სავსე.. აქ ისე ბევრი მუხაა და ისე კარგადაც ისხამს კურკოს, რომ ხშირად მთელი ზამთარი ღორი პატრონს უ იმინდოდ გამოჰყავს. მერე ხომ ნახე, თუ რა უღმერთოდ ჰკაფევენ მუხას. კურკოს გულისთვის დალოცვილები დაბერტყვის

ტუროში სცხოვრობენ ხატის დასტურები. ყველა ეს შენობები ფშავლის სახლის მსგავსებია. შენობებზე აწყვია და ან ხეზედ მიკრულია ირმის რქები, მონადირე ფშავლისგან შეწირული. მონადირე ნადირობის დროს სალოცავს გამოსთხოვს ნადირს (ირემსა) და აღუთქვამს რქების შეწირვას. თუ რქიანი ირემი მოჰკლა, ფშაველი თავის აღთქმას ასრულებს და სწირავს სალოცავს მოკლულის ირმის რქებსა. ამისთვის იშვიათია ფშავში ისეთი სალოცავი ალაგი, სადაც რამდენიმე ირმის რქა არ მოიპოვებოდეს. გალავანში აშენებულია ხატის საზარე და სასანთლე, სადაც ხევის ბერი სანთელს ანთებს და ამწყალობნებს" მლოცველთ. სანთელი თითონ მლოცველებს მოაქვთ პატრუქიანად, აძლევენ ხევის ბერს, დასტურები გაალხობენ სანთელსა, გააერთებენ, მერე „ჩამოჰქნიან" და მოუმზადებენ ხევის ბერს ასანთებად. „სასანთლე" სიპის ქვებისაა და მიემსგავსება თახჩას. გალავანშივეა საზარე (იგივე სამრეკლო) ქვითკირისა, ან სპილენძისა და სრულიადა ჰგავს ეკლესიის სამრეკლოს; წვერზედ გაკეთებული აქვს გუმბათი და ჯვარი. საზარეში ჰკიდია ზარი, რომელსაც დღესასწაულში ხევის ბერი ჰრეკავს. ზარის რეკვის დროს მლოცველები ფეხზედ ადგებიან, პირჯვარს იწერავენ და ევედრებიან ხატს. გალავანს გარეთ ყველა თემს თავისი „საჯარე" (დასახდომი ალაგი) აქვს. თემი დღესასწაულში სალოცავად მისული ბინავდება თავის საჯარეში. გალავანში შესვლა აკრძალულია ყველასთვის, გარდა ხევის ბერებისა და დასტურებისა. ყველა თემს, თუმცა თავ-თავისი საჯარე აქვს, მაგრამ შეუძლიან ერთმანეთის საჯარეში მისვლა-მოსვლაც. დედაკაცების „საჯარე" ერთია, ის თემობით დაყოფილი არ არის, დედაკაცები სხედან ცალკე თავის საკუთარ საჯარეში და იმათ ნება არა აქვთ მამაკაცების საჯარეში მისვლისა. ამისი მიზეზი ის არის, რომ დედაკაცი უფრო ნაკლებად ღირსია, ფშავლის აზრით, იმისის სალოცავისა, უფრო უწმინდური არსებაა, ვიდრე მამაკაცი. ამისათვის მას ნება არა აქვს სალოცავთან ისე ახლო მივიდეს, როგორც მამაკაცს. მამაკაცების საჯარეში მისვლა ხატის გმობა და შეურაცხება იქნება დედაკაცის მხრით. გალავანს შიგნით, და გარეთ საჯარეებში დიდრონი ხეებია. თვით ეს ხეები ხატის საკუთრებას შეადგენენ და იმათის მოჭრის ნება არავისა აქვს. ხატის ხის მომჭრელსა და საზოგადოდ იმის ქონების წარმტაცებელს, ფშავლის აზრით, ხატი სასტიკადა სჯის. ფშაველი თავის სალოცავის საბძანისისა და იმის კარმიდამოს დამშვენებასა სცდილობს. ეს აშკარად ეტყობა, სხვათა შორის, თამარ მეფის სალოცავ ალაგსაც. საჯარე, სადაც გვერდა და მოუხერხებელი სადგომი ყოფილა, გაუთხრიათ და გაუვაკებიათ. გავაკებულის ზევით ზექი მშვენიერის ქვის კედლით გაუმაგრებიათ, რომ მიწა არ ჩამოიშალოს საჯარეში. კედელში დატანებულია სიგრძეზედ სიპი ქვები, რომლებიც ფშაველს დღეობის დროს დასაჯდომ ტახტის მაგიერობას უწევს. ვაკეს ზევითა და ქვევით ამოსულია მშვენიერი ხეები, რომლის ტოტები ერთმანეთზედ გადახვეულები არიან და უჩრდილებენ საჯარეს.

რამდენადაც თამარ მეფის სალოცავი ალაგი წოდებული „ღელედ" და მთლად ის გორა, სადაც სალოცავია, წარმოადგენს თავის მდებარეობით, წყაროებით და მცენარით, მშვენიერს სურათს, იმდენად ლაშარის ჯვარის სალოცავი და მთლად ლაშარის გორი წარმოადგენს მწირს, უწყლო, უმცენარო ხმელს ალაგს. ლაშარის გორი ძალიან გვერდა და კლდიანია, სადაც სალოცავი ალაგია, იქ ცოტად შევაკებულია. სალოცავი ალაგი გალავნით შემოზღუდულია, ხეები მხოლოდ გალავანში მოიპოვება და იქ, სადაც საკლავებსა ჰხოცავენ („სასაკლავე"). საჯარეები შიშველ ალაგზეა. გალავანში მოჩანს ერთი ეკკლესიის ნანგრევი, რამდენიმე შენობა (საბეროები) და საზარე (სამრეკლო). საზარეში ჰკიდია რამდენიმე ზარი, მათ შორის ერთი შეწირულია არაგვის ერისთვის ზურაბისაგან, რომელიც ფშავლებისა და იმათის სალოცავების „მუხანათი" ყოფილა. იმას «ულაშქრავ» ფშავის ხევი, მაგრამ როცა ვერ დაუმორჩილებია, შერიგებია და ნიშნად „ზავისა" ლაშარის ჯვარისთვის შეუწირავს ხსენებული ზარი. გალავანისა და სასაფლაოს ზევით რამდენიმე პატარ პატარა ვაკეა, რომლებიც საჯარედ დაჩემებული აქვს ყველა თემს ცალკ-ცალკე დასასხდომად. ლაშარის ჯვარის დღეობაში ამ ვაკეებზედ იყრის თავს მლოცველი ხალხი და იმართება მცირე ბაზარი, სადაც იყიდება ღვინო, არაყი, ფარჩა, ქისტური ნაბდები, ქუდები, ერბო და სხ.. გორს აქეთ-იქით აქვს ფხაწალი, კლდიანი ფერდობები, სადაც შეუძლიან გავლა მხოლოდ გვერდაში და კლდეებში სიარულს შეჩვეულ ფეხ-მარდს მთიელს. ლაშარის ჯვარს თავისი გორის ხრიოკობა თითქოს საყვედურადაც მიაჩნია. იგი ხშირად უბძანებს თავის „ყმას", რომ იმან თავისი სალოცავი ლაშარის ჯვარი არ დაივიწყოს და ერთს ან ორ წელში მაინც „შეხედეს იმის ხმელს გორზედ".

მლოცველების დასაბინავებელი ადგილი აქაც ყველა თემს დაჩემებული აქვს და თემისავე საჯარედ იწოდება. მაგ., „გოგოლაურთ საჯარე, მათურელთ საჯარე" და სხ... საჯარეში მამაკაცები და დედაკაცები ერთადა სხედან. მლოცველები ლაშრობა დღეს (მკათათვის ხუთს ან ათს) იკრიბებიან სალოცავად დილით. შუადღის შემდეგ, როდესაც ხევის ბერი საკლავების დახოცვას გაათავებს და სანთელს «გაანთებს» ლაშარის ჯვრის სასანთლეში, ხალხი დაბრუნდება სალოცავიდგან, რადგანაც ადგილის სივიწროვისა და ცხენების საჭმლის უქონლობის გამო დამე იქ ყოფნა არ შეიძლება. ლაშრობის მეორე დღეს თამარ-მეფის დღეობაა და ამის გამო უმეტესი ნაწილი ლაშარს მისულ მლოცველებისა მიდის იმავე სალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაგიერ ან ტოტებს ჰკაფავენ, ან არადა, ხშირად უფრო ძირიანად სჭრიან ხეს რა ეს, რა სხვა, ჩვენი საქმე წასულია... ჩვენ-კი როგორც იქნება გავათრევთ ჩვენს სიცოცხლეს, მაგრამ ჩვენის შვილების ბედი ღმერთმა ყველას აშოროს. ნეტავი შენის სიცოცხლით, სასამართლოში მაინც არის ისვენებდნენ ჩვენი დალოცვილი ვაჟბატონები! რას მიბრძანებ, იქ ობობას ქსელივით ჰხლართავენ ისედაც დახლართულს საერთო მამულის განაწილებას... მართალია, კანონი ამბობს, რომ საერთო მამულის მონაწილემ მხოლოდ თავის შინაური საჭიროებისათვის უნდა ისარგებლოს ამ მამულითაო, მაგრამ წელანაც გითხარ რა ოინბაზურად სარგებლობენ ჩვენები! გადმოვარდნილ ლეკებს მოუნათლავთ თავიანთის სახელით და მამულს ატიალებენ! ასე, ჩემო ძმაო, ჩვენი საქმე წასულია და ველარაფერი დაგვაყენებს სწორე გზაზე. თუ კიდევ ღმერთი შეგვეწია და მალე ველირსეთ მამულის გაყოფას, იქნება როგორმე კუზები გაგვისწორდეს, მაგრამ განა ამ ბედნიერს დღეს მალე მოვესწრობით? მე-კი არა მგონია.

ამ ლაპარაკში მეტად გავერთეთ და კინაღამ ღამემ უალაგო-ალაგას არ მოგვისწრო.

მზე უკვე კარგად იყო ჩასული, კაბლის წისქვილებთან რომ მივედით. ამოვირჩიეთ ბინად ჩვენ კარგა ნაცნობის წისქვილის მახლობლად ოთახი და აქ დავბინავდით. არ გასულა ერთი საათი, რომ შემოგვესმა ორპირული მგზავრული სიმღერა. ეს მგონი ჩვენი შეითანი მედავლეები მობძანდებიანო! მითხრა ჩემმა თანამგზავრმა. მართლა თხუთმეტამდე ცხენოსანი ამოვიდა წისქვილებთან, აირჩიეს მახლობლად მყუდრო მინდორი და იქ დაბინავდნენ.

ახლად მოსულთ შეიტყვეს ჩვენი იქ ყოფნა და ჩვენც მიგვიწვიეს თავისთან ვახშმად. ვახშამზე სწორედ რომ ბევრი რამ ითქვა საერთო მოსავლის შესახებ..

ვახშამზე შევიტყვეთ, რომ ჩვენი მასპინძლები საბალახოს ასაღებად ყოფილიყვნენ მამულში. აელოთ კიდეც, მაგრამ საბალახოს განაწილება მეორე დღისთვის გადაედოთ.

ი. კახელი

(შემდეგი იქნება)

## სასამართლოს მატიანე

### სტავროპოლის ოლქის სასამართლო

(დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის მოკვლის საქმე)

(შემდეგი*)

იავნე ხოხლოვი. 1886 წლის გაზაფხულზედ მე, შულგინი და ზადუნაისკი ერთად ვიყავით დაპატიმრებულნი სტავროპოლის ციხეში. ზადუნაისკი და შულგინი ბიბერდოვის დუქნის გატეხვისათვის დაჰპატიმრებინათ. ერთხელ ჩემთან უთხრა შულგინმა ზადუნაისკის: „ეშმაკმა იცის, რადა ვართ საპატიმროში უბრალოდ; შენ რომ ჩემთვის დაგეჯერებინა, გენერალთან წავიდოდით და ფულებს გამოვართმევდითო". შულგინი 1887 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში განათავისუფლეს საპატიმროდგან და იმავე თვის დამლევს გაისმა ხმა, რომ სტავროპოლში ვიღაც გენერალი მოუკლავთო. ზადუნაისკი ამ დროს ტალანში შემხვდა და მითხრა: „ეხლა-კი შულგინის საქმე წასულია, გენერალს უშველია ის მოჰკლავდაო". ცოტა ხანს შემდეგ საპატიმროში მოვიდა შულგინის და, თუ დედა, ნამდვილად არ მახსოვს, ზადუნაისკის სანახავად. ეს დედაკაცი რომ წავიდა, შულგინმა გამიხმო ტალანში და შემატყობინა, რომ ბროხნიცკის სახლებში მდგარი გენერალი შულგინს მოუკლავს, მაგრამ სანდო ამხანაგი-კი ვერ უშოვნია — გრიშკა სტრეპეტოვი, რადგან ის ეხლა ლოთობს თურმე და ადვილად შეიძლება საიდუმლო წამოსცდესო. რამდენისამე დღის შემდეგ საპატიმროშივე მოვიდა თევდორე შულგინი ზადუნაისკის სანახავად. ზადუნაისკის ორი მანეთი მისცა, მე — ერთი მანეთი, ერთი მანეთიც ტუსაღს გრიგორიევს და გვითხრა, რომ „ნადავლი ფულიაო". შულგინმა მაშინაცა სთქვა რაღაცა მოკლულს გენერალსა და სტრეპეტოვზე, მაგრამ იმისი ნალაპარაკევი კარგად არ მახსოვს. მას შემდეგ თევდორე შულგინი აღარ მინახავს, გავიგონე-კი, რომ ავად გახმდარიყო და მომკვდარიყო. 1888 წლის გამოგაზაფხულებაზედ სტრეპეტოვიც მოიყვანეს საპატიმროში. ზადუნაისკიმა სცემა ერთხელ ამ კაცს და თან დაემუქრა, რომ კატორგაში ამოგაყოლებ თავსაო. როცა ვკითხე, რადა სცემე-მეთქი, იმან მითხრა: „იმიტომა ვცემე, რომ შულგინის პალტო არაყში გაუყიდნიაო". ცოტა ხანს შემდეგ ზადუნაისკი საპატიმროშივე მოჰკლა ტუსაღმა კოჟანოვმა. ერთხელ შევედი საჴელოსნოში და ბრალდებული სტრეპეტოვი იქ იჯდა. ჩამოგვივარდა სიტყვა ზადუნაისკის მოკვლის თაობაზედ და მის მიერ სტრეპეტოვის ცემის შესახებ. ვკითხე ბრალდებულს: „შულგინის პალტო როგორ გაყიდე-მეთქი არაყში?" ეს სიტყვები გაუკვირდა და შემომეკითხა: „განა შენც იციო?" „ვიცი"-მეთქი. „სულაო?" «სულა»-მეთქი. მას შემდეგ მე და ბრალდებული ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს და იგი ყოველთვის მიამბობდა ხოლმე დაწვრილებულს ცნობებს ყიფიანის მოკვლისას. იმან მიამბო, რომ მე და შულგინი გადავძვერით ბროხნიცკების კედელზე და ყიფიანის სახლში შევედით როცა კარები შეუღიათ, სტრეპეტოვს სანთელი აუნთია. მიუხედ-მოუხედნიათ და საწოლში შესულან. როცა შულგინს კისერში ხელი წაუჭერია გენერლისათვის, იმას უკითხავს: «ვინ არის? რა არისო?» შულგინს დაჩუმება უბრძანებია, ხელფეხი შეუკრავს და ფული მოუთხოვნია. გენერალს ჯერ უთქვამს, რომ ფული ცოტა მაქვსო, მერე უჯრა დაუსახელებია. სტრეპეტოვს გენერალი დაუჭერია, შულგინს-კი უჯრიდგან ფულის ქისა ამოუღია. შულგინს რომ ვერ გაუღია, გენერალს უთქვამს: მოიტათ, მე გაგიღებთო, მაგრამ ამას არ უქნია, გაუხევია ქისა და ფული და ბარათები გადმოცვივნულა ფული მოუგროვებიათ, კედლიდგან ოქროს საათი ჩამოუღიათ და წასვლა დაუპირებიათ, მაგრამ ამ დროს შეშინებიათ, კაითუ გვიცნოს გენერალმაო, და გადაუწყვეტიათ იმისი მოკვლა. ამ გარდაწყვეტილების გამო შულგინი ხელ-ახლად შესულა საწოლ ოთახში, ბერკეტი დაურტყამს ყიფიანისთვის და საბანი გადაუფარებია. რადგან ამ ერთის დაკვრით გენერალი სულ არ მომკვდარა და კიდევ უხრიალნია, ამიტომ სტრეპეტოვსაც დაურტყამს, მაგრამ, როგორც თითონ მითხრა, არ ახსოვს, თავში მოურტყამს, თუ ბალიშისთვის მოუხვედრებია. ერთის სიტყვით, ბრალდებულმა საპატიმროში თითქმის ყოველივე წვლილი მიამბო ყიფიანის მოკვლისა, მაგრამ ეხლა აღარ მახსოვს, გადავიწყებული მაქვს. სტრეპეტოვის ნალაპარაკევი ერთხელ ვუამბე საპატიმროში მყოფს ბრალდებულის ამხანაგსა და საპატიმროს ზედამხედველს იაკუბოვიჩს. იაკუბოვიჩმა მე და სტრეპეტოვი საიდუმლო სენაკში დაგვაპატიმრა და აქაც მიამბო ბრალდებულმა ყოველივე წვლილი ყიფიანის მკვლელობისა. ჩვენი ლაპარაკი ესმოდათ თურმე ფანჯარასთან მყოფ იაკუბოვიჩსა და სხვათა. მე არ ვიცოდი, თუ იაკუბოვიჩი ყურს დაგვიგდებდა. ბოქაულის ამხანაგმა მთხოვა ლაპარაკი ჩამომეგდო ბრალდებულთან ყიფიანის მოკვლის თაობაზედ, ზედამხედველმა იაკუბოვიჩმა იცოდა ეს ამბავი და კიდეც ამიტომ დაგვაპატიმრა, ვგონებ, საიდუმლო სენაკში. როცა ყიფიანის მოკვლის ამბავს მომიითხრობდა, ბრალდებული მაშინ დალეული არა ყოფილა, თუმცა-კი ყოველ დღე სვამდა არაყს. საიდუმლო სენაკში ორი დღე ვიყავით. როცა ზადუნაისკიმ მითხრა, რომ გენერალი ყიფიანი შულგინისა და სტრეპეტოვის მოკლულიაო, ისიც გადმომცა მაშინ, რომ ბროხნიცკებთან გოგოდ არის შულგინის და პრასკოვია და იმან იცის მთელის ოჯახის კუნჭი-ბუჭხიო. როგორც ბრალდებულმა მიამბო, წინადაც არა ერთხელ სდომნიათ გენერლისას შესვლა და მხოლოდ მესამე, თუ მეოთხე ცდაზედ ასრულებიათ განზრახვა. როცა გადასულან, შულგინს ფანჯრიდგან შესვლა განუზრახავს, რადგანაც კარები დაკეტილი ყოფილა, მაგრამ სტრეპეტოვს უთქვამს, რომ კარების შემტვრევას მე შევიძლებო. მისულან კარებთან და რაკი დარწმუნებულან დაკეტილიაო, დერეფანში დამსხდარან და პაპიროზი მოუწევიათ. შემდეგ შულგინს ცხვირსახოცი ორად გადაუხევია და იმ ნახევებით ორივეს პირი აუკრავთ მკვლელობის წინა დღეს სტრეპეტოვი მისულა გენერალთან ვითომ-და ფულის სათხოვნელად, ნამდვილად-კი სახლის დათვალიერება და კარგად გასინჯვა სდომებია. მისვლისას ულვაშები გაუშავებია, რომ სახე გადაესხვაფერებინა. გენერლისას ნაშოვნი ფული თანაბრად გაუნაწილებიათ. საათი-კი ბრალდებულს დაედნო და ხუთ მანათად გაეყიდნა. სტრეპეტოვის ნაამბობი მე ჭეშმარიტ ამბად მეჩვენა, რადგან ლაპარაკის დროს მკვეხარაობა და ტრაბახი არაფერში ეტყობოდა.

ამ მოწმეს ჩვენების შემდეგ ბრალდებულმა სტრეპეტოვმა სასამართლოში განაცხადა, რომ ყოველივე მოწმიეს მიერ ნათქვამი სიცრუეაო.

სტავროპოლის საპატიმროს ზედამხედველი ანტონ იაკუბოვიჩი. პატიმარმა ხოხლოვმა მითხრა, რომ მე შემიძლიან პატიმარსავე გრიგოლ სტრეპეტოვს ვათქმევინო დაწვრილებული ცნობები ყიფიანის მკვლელობისაო. ამის გამო ბრალდებული და ხოხლოვი საიდუმლო სენაკში დავამწყვდიე და უკანასკნელს მივანდე ლაპარაკი ჩამოეგდო ყიფიანის მკვლელობაზედ. იმათ დამწყვდევისთანავე ავიყვანე გულევსკი და მწერალი ივკოვი და მივედით სენაკის ფანჯარასთან ყურის საგდებლად. სტრეპეტოვსა და ხოხლოვს ლაპარაკი იმაზე ჩამოუვარდათ, რომ ხოხლოვმა დასცინა, არც ძალიან შესანიშნავი პატიმარი ხარ, თავს ნურას იწონებო. ამ დაცინვის გამო სტრეპეტოვი ყიფიანის მოკვლის ამბავს მოუყვა. სტრეპეტოვმა უთხრა, რომ მე და შულგინს პირველში ფულის საშოვნელად ან წმ. სოფიოს ტაძარი და ან ყიფიანი გვინდოდა გაგვექურდა. ორჯელ გვინდოდა კიდეც შესვლა ბროხნიცკის ეზოში, მაგრამ ძაღლმა დაგვიშალაო. მხოლოდ მესამე მისვლაზედ შევასწრიეთ ეზოს, მივედით ყიფიანის სადგომთან და გვინდოდა ფანჯრის მინა ამოგვეღო, მაგრამ არ მოხერხდა, რადგან ფანჯარა ორ-პირი ჰქონდა. ამიტომ შევედით ტალანში, დავისვენეთ ცოტა, კარებს მივაწექით და გაიღოვო. შესვლამდე შულგინს გაეხია ორად ხელსახოცი და ერთი თითონ აეფარებინა სახეზედ, ერთი სტრეპეტოვისთვის მიეცა. შემდეგ ოთახში შულ-

*) იხ. „ივერია" №№ 168, 169, 170, 172, 173 და 175.

---

მოზედ თამარ-მეფის სალოცავთან „ღამის სათევად". ლაშარის ჯვარის ხევის-ბერების სამყოფი სახლი — „საბერო" და ცხვრების დასაკლავი ალაგი — «სასაკლავე» გალავანს ახლოა. იქ მისვლა ფშაველის მამაკაცებს შეუძლიანთ მხოლოდ სალოცავის დღეობაში, სხვა დროს, «უდღეობო დღეს» მოსვლის ნება ხევის-ბერისა და დასტურების გარდა არავისა აქვს. დედაკაცები იმ ალაგს ვერც ლაშრობა დღეს მიეკარებიან. ლაშარის ჯვრის სალოცავად მისული მამაკაცი პირველად სალოცავ ალაგას მიდის, პირჯვარს იწერს, მუხლს მოიყრის და ემთხვევა იქვე ყორეზედ დასვენებულს წმინდა გიორგის ხატსა და მერე გასწევს საჯარესაკენ. დედაკაცები ლაშარის ჯვარს შორიდგან ევედრებიან, იმათ საჯარეში მისასვლელი გზაც თავისი საკუთარი აქვთ მოშორებით, რადგან ახლო გზაზედ, რომელზედაც მამაკაცები დაიარებიან, დედაკაცებს „არ გაევლებათ". ყველა სალოცავებში ფშავლებს ალაგი შემოფარგლული და დამიჯნული აქვთ იქამდე, სადამდეც შეუძლიან ხატის საბძანისს მიუახლოვდეს დღეობაში, ან „უდღეობო დღე". რა თქმა უნდა, რომ დედაკაცების მისასვლელი მიჯნა უფრო მოშორებით არი, ვიდრე მამაკაცებისა, როგორც სალოცავის დღეობაში მისასვლელი, ისე უდღეობო დროსთვის დადებული. ვინც მიჯნას გადასცილდება, იმან ხატის კარმიდამოს შელახვისა და გაუწმინდურებისათვის სასჯელი უნდა გადაიხადოს: ხატს ცხვარი უნდა დაუკლას და იმის სისხლით კარ-მიდამო გაუნათლოს ხევის-ბერის ხელით თუ სალოცავის მახლობლად გზაა, გზის ახლო ქვის ყორეა გაკეთებული ხატისათვის „მისალოცი, მადლის მოსათხოვი". მადლის მოსათხოვი ყორე იმით იცნობა, რომ ზევიდგან ერთი ან რამდენიმე ბროლის ქვა ალაგია. ყველა გამვლელ-გამომვლელი მორწმუნე ფშაველი ორივე სქესისა იქ ცხენიდგან ჩამოხტება, ხატს „მადლს მოსთხოვს", პირჯვარს დაიწერს და მუხლს მოიყრის. თუ რამდენიმე მგზავრია ერთად და სასმელი აქვთ თანა, იმავე ალაგას დადგებიან, დალევენ სასმელსა, ადიდებენ ხატსა და მერე განაგრძობენ მგზავრობას. მსხვერპლის შეწირვა, სალოცავ ალაგის წმინდად შენახვა და იქ ტყის დაცვა ყველგან და ყველა სალოცავის ყმათათვის სავალდებულოა ფშავში.

ფშაველის აზრით, იმის ხატებში სიდიდ-სიპატარავე არის, მაგრამ ამით ისინი ერთმანეთს არაფერს არ უშლიან. თუ ფშაველმა ერთს რომელსამე სალოცავს მსხვერპლი შესწირა, ილოცა, და მეორეს არა, მაშინ დავიწყებული ხატი მორწმუნე ფშაველს მოაგონებს მკითხავის პირითა, რომ იმას სალოცავის დავიწყება არა ჰმართებს, რადგანაც იგი მეშველია და მფარველი არა ნაკლებ იმ სალოცავისა, რომელსაც იმან მსხვერპლი შესწირა და შევედრა. სალოცავის ამ ალძრულ შურს ფშაველი მალე ბოლოს უღებს იმითი, რომ იმასაც შევლას ევედრება და მსხვერპლსა სწირავს. სათემო ხატი დიდია ადგილის დედაზედ, ხოლო სათემო ხატზედ დიდები და უძლიერესები არიან საერთო ხატები. საერთო ხატები მთელის ფშავლების სალცავები არიან, ყველას მათგანს მფარველობენ: სათემო ხატის «სამწყალობნო» და სამრისხველო ასპარეზი თემსა და თემის ქალ-ქალიშვილს არ გასცდება. ადგილის დედას უფრო მცირე ასპარეზი აქვს, იგი უფრო ხშირად ერთ სოფელსა მფარველობს, ამასაც ერთი სოფელი ლოცულობს. ფშაველი თავის თავს ამ ხატების «ყმად» უწოდებს, ხოლო ხატი იმათ რაცხვს თავის „ოქროს ლილებად". ფშაველი ერისა და იმავე დროს ყმაა ადგილის დედისა, თემის სალოცავისა და საერთო საყოველთაო სალოცავისა, რომელნიც ფშაველს თავის ოქროს ლილადა ჰრაცხავენ. ყველა სალოცავი ფშაველისა კეთილია და არაფერს დაუშავებს, თუ იგი ფშაველმა თავისის უგუნურობითა და სამსახურის (ლოცვისა და მსხვერპლის) დაკლებით არ განარისხა. ახლად დაბადებული ბავშვი მონათვლის შემდეგ მშობლებმა თავიანთ თემის ხატში უნდა მიიყვანონ, „ხატში გაიყვანონ" დაამწყალობებინონ ხევის-ბერს. ხატში გაყვანის დროს საჭიროა მის „სამწყალობნოდ" მსხვერპლის შეწირვა. თუ ყრმა მამრობითის სქესისაა, მშობლები ორს საკლავს დაჰკლავენ ხატში, ერთ ბატკანსა და ერთს ჭედილას, თუ მდედრობითის სქესისაა — მარტო ბატკანს. ხევის-ბერი ყრმას ჩვეულებრივად «დაამწყალობნებს» და დაკლულის მსხვერპლის სისხლს შუბლზედ წაუსვამს ჯვარის სახედ. ხევის-ბერს დამწყალობნებისთვის, ცხვრის „მხარ-ტყავის გარდა", ერთი წყვილი ჭრელი წინდაც მიერთმევა ხოლმე. ყრმის ხატში გაყვანა და სისხლით განათვლა, ფშაველის აზრით, ისეთივე აუცილებელი საჭიროებაა, როგორც ყველა ქრისტიანესთვის მონათვლა. ხატში გაყვანილი ყრმა შეიქმნება თემის საკუთარი წევრი და თემის სალოცავის „ყმა", «ოქროს ლილი».

ფშაველის აზრით, ღმერთი ადამიანს აღარ გამოეცხადება, რადგანაც ხალხი უწმინდური და ულირსი შეიქმნა. წინათ-კი, როდესაც ხალხი წმინდა და უცოდველი იყო, ღმერთიცა და ხატიც იმათთან უფრო მახლობლები იყვნენ და გამოეცხადებოდნენ ხოლმე, მაგრამ ხალხმა ღმერთი გაარისხა და ამის გამო იგი იმათ ისე ახლოს აღარ ეკარება, როგორც წინად. წინად, ფშაველის აზრით, იესო ქრისტეს უმოგზაურნია ქვეყანაზედ, „ხალხის გამოსაცდელად", რათა ადგილობრივ დარწმუნებულიყო კაცთა ავ-კარგიანობის შესახებ. ზოგს გამოეცხადებოდა გლახის სახით, ზოგს მოგზაურად მოეჩვენებოდა, სტუმრად ეწვეოდა და შვილებსაც მოუნათლავდა ხოლმეო. ეხლა, რაკი ხალხი ღვთის ულირსი შეიქმნა, იმანაც პირი მოარიდა, ხალხის შველა და მფარველობა მიანდო თავის წმინდანებსა და თითონ-კი აღარ გამოეცხადება ხოლმე არავისაო.

(შემდეგი იქნება)

განს სანთელი აენთო და ორივენი საწოლში შესულიყვნენ. ყიფიანს მაშინვე გამოჰღვიძებოდა და და ჰკითხა: „ვინ არის? რა არისო“. შულგინს ეთქვა: „ციც, ციცო!“ და ფული ეთხოვნა. მოკლულს სტოლის უჯრა დაესახელებინა. შულგინს ამოეღო უჯრიდგან ქისა, თითონ ვერ გაეხსნა, ყიფიანის შველაც არ მოენდომებინა და გაეხია. ქისიდგან გადმოცვივნულიყო ფული და ბარათები. ფულის მოგროვების შემდეგ შულგინი და სტრეპეტოვი კარებისკენ წასულიყვნენ გასასვლელად, მაგრამ შემდეგ იმის შიშს შეეყყნებინა, რომ ვაითუ გვიცნოს გამარცულმა და დაგვაშჭერინოსო. შულგინი დაბრუნებულიყო საწოლშივე და ბერკეტი დაეთხლიმა თავში. ამავე დროს სტრეპეტოვს მოსჩვენებოდა, რომ ყიფიანი კიდევ ჰხვრინავსო, გამოეგლიჯა ხელიდგან შულგინისათვის ბერკეტი და თითონაც დაერტყა განსვენებულისთვის. სტრეპეტოვი ეუბნებოდა ხოხლოვს, რომ არ მახსოვს, თავში მოვახვედრე ბერკეტი, თუ ბალიშს დავთხლიშეო. შემდეგ იმავე გზით წამოსულან. ხოხლოვი ზადუნაისკის მოკვლის შემდეგ ძალიან დაღონებული იყო და უნდოდა კიდეც მოეკლა იმისი მკვლელი, პატიმარი კოჟანოვი. უკანასკნელს დროს სტრეპეტოვი და ხოხლოვი ერთად იყვნენ დამწყვდეულნი საპატიმროს ქვემო სართულში და ამიტომ ერთმანეთის ხშირად ნახვა ადვილად შეეძლოთ. მას შემდეგ, როცა ყველამ გაიგო სტრეპეტოვის მიერ ხოხლოვთან მონათხრობი ყიფიანის მოკვლის ამბავი, სტრეპეტოვს საპატიმროდგან გაპარვა უნდოდა, მაგრამ ზანზედ მოასწრეს და დაიჭირეს. აწ გარდაცვალებული შულგინი და იმის და საპატიმროში დადიოდნენ ხოლმე და ზადუნაისკისთანაც თავისუფლად შეეძლოთ ლაპარაკნათ. პატიმრებში ჩვეულებად აქვთ მიღებული, რომ ერთმანეთს უამბობენ თავისის დანაშაულის ამბავსა და საიდუმლოს. ჯერ სტრეპეტოვის ნათვამამდე აწ უკვე კატორგაში გაგზავნილმა პატიმარმა დიაჩკოვმა მითხრა, რომ ყიფიანი შულგინისა და სტრეპეტოვის მოუკლავთ, მაგრამ ის-კი არ გაუგებინებია, თუ საიდგან შეეტყო ეს ამბავი. დიაჩკოვი ხოხლოვს ჯერ-კი ჰნახავდა, რადგან საპატიმროს სხვა-და-სხვა განყოფილებაში იყვნენ დამწყვდეულნი. როცა მოკლულის ყიფიანის შვილი მოვიდა საპატიმროში, ალექსანდრე გლადკოვისას უთხრა, რომ ას თუმანს მივცემ იმას, ვინც მამიჩემის მკვლელს მიპოვნისო.

ამ მოწმეს ჩვენების შემდეგ ბრალდებულმა სტრეპეტოვმა განაცხადა, რომ როცა ზედამხედველმა საიდუმლო სენაკში დაგვამწყვდია მე და ხოხლოვი, მაშინ ორივემ ნახევარ „შტოფზედ“ მეტი არაყი დავლიეთო.

ციხის ზედამხედველად ნამყოფმა ტიტოვმა გულევსკიმ თითქმის იგივე სთქვა, რაც იაკუბოვიჩმა, და საპატიმროს მწერალმა ივკოვმა კიდევ გულევსკის ნათქვამი გაიმეორა.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

19 აგვისტო

პეტერბურგი. მისმა უმაღლესობამ მარია პავლეს ასულმა ღამე გვარიანად გაატარა. გრძნობიერება შეხუთული აქვს, მაგრამ ძალა და ღონე, როგორც ეტყობა, არ აკლდება, რადგანაც ღვინოსა და მარგებელს საჭმელს აძლევენ.

სახელმწიფო ქონებათა მინისტრი დაბრუნდა პეტერბურგს.

ნიჟნი-ნოვგოროდი. იაროსლავის ტილოები შარშანდელზე სუსტად იყიდება. ყიზლიარისა და ამიერ-კავკასიის ღვინოები შარშანდელზე უფრო ძვირად იყიდება 25 - 30%-ით. უმეტესი ნაწილი ღვინოებისა მოსკოვში გასატანად უყიდნიათ.

ათინა. კრიტში კიდევ მისულა ჯარი. შაქირ-ფაშას გამოუცია პროკლამაცია და გამოუცხადებია, რომ ჯარებსა ვგზავნით წესიერების აღსადგენად. მოწინააღმდეგეთ აუწყებს, რომ სამხედრო სამართალში მიგცემთო.

პარიჟი. გრაფმა პარიჟისამ მიჰმართა ხალხს პროკლამაციით. იგი ამბობს, რომ საჭიროა კონსერვატორთა შეერთება და შეთანხმება, რადგანაც რესპუბლიკელნი სცდილობენ მოსპონ რესპუბლიკანური თავისუფლება საფრანგეთისაო. გრაფი ამბობს, რომ კონსტიტუციის გადასინჯვა ბოლოს მოუღებს რესპუბლიკელთა მოქმედებას და აღადგენს მშვიდობიანობას რესპუბლიკისასაო.

ვენა. „Reichwehr“-ი იუწყება, რომ მანევრები დაიწყება 8-ს ენკენისთვისას და გასტანს 21-მდე. მანევრები დანიშნულია სარაევოში, ვლაცინიცაში, ვორნიკსა და კლოდენში. გაზეთი ამბობს, რომ ამ მანევრებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ პოლიტიკასთანაო.

ვენა. პრაგის სტუდენტებმა უკვე შეადგინეს ახალი წესდება და როცა შემთხვევა ექნებათ, დააარსებენ ახალ საზოგადოებას გაუქმებულ სამკითხველოს საზოგადოების მაგიერად.

20 აგვისტო

პეტერბურგი. გუშინ ბიულეტენმა გვაუწყა, რომ მისს უმაღლესობას მარია პავლეს ასულს გრძნობიერება მოჰმატებია. მარგებელს სასმელ-საჭმელს აძლევენ და ამიტომ ძალ-ღონე არ აკლდება

უმაღლესად ნაბრძანებია, რომ ანასტასია ნიკოლოზის ასულს რომანოვსკაიას, ლეიხტენბერგის ჰერცოგის მეუღლეს, მიენიჭოს წოდება იმპერატორებითის უმაღლესობისა.

ირკუტსკის გენერალ - გუბერნატორი გორემიკინი გუშინ წავიდა თავისს ადგილას.

„მართებლობის მოამბე“ იუწყება, რომ სახელმწიფო კომისიებში, რომელმაც სახელმწიფო ეგზამენები უნდა დააჭერინონ სწავლა-დამთავრებულ სტუდენტებს, უკვე შეუტანიათ 583 არზა.

გაზეთი „Петерб. Вѣд.“-ს შეუტყვია, რომ რუსულ არტილერისტებს, რუსეთის არტილერიის ხუთასის წლის არსებობის დღეობის მოსახსენებლად, განზრახვა აქვთ პრემია დანიშნონ იმ ოფიცრებისათვის, რომლებიც ახალს რასმე მოიგონებენ არტილერიის სასიკეთოდაო.

21 აგვისტო

პეტერბურგი. მისი უმაღლესობა მარია პავლეს ასული უკედ არის. სისხლის დენა აღარ ავარდნია.

პარიჟი. დღეს დილით მოვიდნენ დელეგატები იტალიელის მუშებისა. ვოგზალზე იმათ მიეგებნენ პარიჟის მუშების ორი დეპუტატი და ორი წარმომადგენელი სამუნიციპიო საბჭოსი.

გუშინ, როცა იტალიელმა დელეგატებმა ლიონში გამოიარეს, ვილაცაები იძახდნენ: „კრისპი არ გვინდაო“. ბევრი მანიფესტანტი შეიპყრეს.

პეტერბურგის ბირჟა, 18 მარიამობ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 64 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 153¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 10 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 264 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 247¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 97½ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97¾ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 83½ | — „ | — „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

იბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

მცხეთის დედათა მონასტერში დაარსდა ახალი ოთხ-კლასიანი დედათა სასწავლებელი, რომელშიაც პროგიმნაზიული სწავლა იქნება დაახლოვებით პროგიმნაზიისავე პროგრამით. სასწავლებელთანვე დაარსებულია მოსამზადებელი კლასი. სწავლა დაიწყება 1-ს სექტემბრიდგან.

სასწავლებელში გამართულია პანსიონი. პანსიონში შემსვლელთათვის დანიშნულია ფასი პირველ წელიწადს თორმეტი თუმანი, ხოლო შემდეგს წლებში—ათ-ათი თუმანი. გარეშე მოსიარულეთათვის სწავლების ფასი თხუთმეტი მანეთია. სასწავლებელში შესვლის მსურველებმა ანუ იმათმა მშობლებმა უნდა მიჰმართონ მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარს და თხოვნასთან ერთად წარადგინონ წლოვანების მოწმობა და აცრის ქაღალდი. თვით პროგრამმა თავის დროზედ გამოცხადებული იქნება.

პირველ წლობით მხოლოდ მოსამზადებელი და პირველი კლასია დაარსებული. (10—7)

## სკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

წელიწადი მერვე. 1

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1889—90 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მხრაველ-წერა და წერა გარკვეული და მშოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ; ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ვ. მანუელიანცს ტფილისს. (12—7)

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი—30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108 (50—31)

## ქოქორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკის სახლში.

Доз. ценз. Тифлисъ 21-го Августа 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე